საქართველოს მთავრობის

დადგენილება №588

2019 წლის 2 დეკემბერი

ქ. თბილისი

დიდი მიტარბის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141-ე მუხლის მე-11 ნაწილის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 და „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილებების შესაბამისად, დამტკიცდეს:

1. დიდი მიტარბის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის ტექსტური ნაწილი (დანართი 1; დანართი 2).

2. დიდი მიტარბის გენერალური გეგმა თანდართულ რუკებთან ერთად (დანართი 3).

3. დიდი მიტარბის განაშენიანების გეგმა თანდართულ რუკებთან ერთად (დანართი 4).

4. დიდი მიტარბის ტერიტორიაზე განაშენიანების/განაშენიანების დეტალური გეგმების (გგ/გდგ) არეალების დამუშავების პირობები (დანართი 5).

5. ბაკურიანისა და დიდი მიტარბის სამთო-სათხილამურო არეალის თემატური რუკები (დანართი 6).

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დიდი მიტარბის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 მარტის №126 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**